კალფოსტონიკი (Calfostonic)

ორალურად მისაღები ფხვნილი,

შემადგენლობა

1 კგ შეიცავს: ვიტამინი A-600000 სე; ვიტამინი D_3-200000 სე; ვიტამინი B_1-100 მგ; ვიტამინი B_2-200 მგ; ვიტამინი B_6-10 მგ; ვიტამინი B_{12}-1,1 მგ; ვიტამინი E-75 მგ; ვიტამინი K_3-25 მგ; ნიაცინამიდი-1,25გ; კალციუმის პანტოტენატი-500 მგ; ქოლინ ქლორიდი-25გ; DL-მეთიონინი -10 გ; L-ლიზინი-2,5 გ; ნაღველას ფესვი-5 გ; L-კარნიტინი-3 გ; ნატრიუმის გლუტამატი-7,5 გ; ნატრიუმის ქლორიდი-24,6 გ; მაგნიუმის კარბონატი-50,0 გ; მანგანუმი (სულფატი)-480 მგ; თუთია (სულფატი)-504 მგ; რკინა (სულფატი)-600 მგ; სპილენძი (სულფატი)-125 მგ; კობალტი (კარბონატი)-100 მგ; კალიუმის იოდიდი-124 მგ; კალციუმის კარბონატი-443,9გ; დიკალციუმის ფოსფატი-300 გ; ნატრიუმის სელენიტი-80 მგ და დამხმარე ნივთიერება q.s. 1 კგ.

მახასიათებლები

კალფოსტონიკი არის მინერალური მარილების, წყალში და ცხიმში ხსნადი ვიტამინების, ოლიგოელემენტების, ამინომჟავების, არასპეციფიკური ზრდის ფაქტორების, მადის სტიმულატორების, მატონიზირებელი საშუალებების და არომატული დანამატების კომპლექსური ნარევი, რომელიც ცხოველებში მიღებისას ასწორებს მწვავე და ქრონიკულ დეფიციტურ მდგომარეობას და უზრუნველყოფს საჭირო ელემენტებით მათი ზრდისა და სრულფასოვან განვითარებას და რაც ნიშნავს, რომ რძის, ხორცისა და მატყლის წარმოება უნდა გამოვლინდეს თითოეული ცხოველის გენეტიკური შესაძლებლობების შესაბამისად.

ჩვენებები

კალფოსტონიკი გამოიყენება მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის მწვავე და ქრონიკული დეფიციტის, ანორექსიის, დაუბალანსებელი კვების დროს, გამოჯანმრთელების, რაქიტის, ცხოველების ცუდი განვითარების პერიოდში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია მატონიზირებელი საშუალებების და მადის სტიმულატორების მიღება.

უკუჩვენებები

არ არის აღწერილი.

გვერდითი რეაქციები

არ არის აღწერილი.

სამიზნე სახეობები

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, ფრინველი, ღორი და ცხენები.

დოზირება და გამოყენების მეთოდები

- ჯგუფური მკურნალობისთვის
  ყველა სახეობას: 20 კგ/ტონა საკვებზე 10-20 დღის განმავლობაში.
  ფრინველს: 20-30 გ/კგ სხეულის მასაზე 10-20 დღის განმავლობაში საკვებში შერეული,

- ინდივიდუალური მკურნალობისთვის:
  მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს:

ზრდასრულებს:100-200 გ /ერთ სულს, დღეში ერთხელ, 15-20 დღის განმავლობაში.
ხბოებს: 40-50 გ / ერთ სულს, დღეში ერთხელ, 15-20 დღის განმავლობაში.

ღორებს და ცხენებს: მაკეობის დროს: 60-100გ /ერთ სულს, დღეში ერთხელ, 15-20 დღის განმავლობაში.
მოზარდეულს: 10-15 გ /ერთ სულს, დღეში ერთხელ, 15-20 დღის განმავლობაში.

ლოდინის პერიოდი:
არ არის საჭირო.

შენახვის პირობები:
ინახება გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 5°C-დან 25°C-მდე ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა:
4 წელი.

სპეციალური გაფრთხილებები
ჭარბი დოზირება: დოზის გადაჭარბება ნაკლებად სავარაუდოა მისი შემადგენლობის გამო.

გამოშვების ფორმა: 1 კგ პოლიეთილენის პაკეტში.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. ვეტერინარული გამოყენებისთვის. ხელმისაწვდომია ვეტერინარული რეცეპტის გარეშე.